დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 18 მარტის გაერთიანებული სხდომის
№29 დადგენილებით

სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათის გაწევის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სტუდენტებისათვის (პროფესიული უმაღლესი, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათის გაწევის წესსა და პირობებს.

მუხლი 2. სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათის გაწევის პირობები

1. სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათი შესაძლებელია გაეწიოს უნივერსიტეტის სტუდენტს იმ შემთხვევაში, თუ წინა სასწავლო წლის შედეგების სტუდენტის აკადემიური მიღწევების მაჩვენებელი (სარეიტინგო ქულა) შეადგენს საშუალოდ 70 და მეტ ქულას და თუ სტუდენტი მიეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ კატეგორიას:

ა) რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა ტოლი ან ნაკლებია 70 000-ზე;

ბ)არის ობოლი (გარდაცვლილი ჰყავს დედ-მამა);

გ) არის მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილით) წევრი;

გ) არის მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;

დ) არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულის შვილი;

ე) ჰყავს ერთი და მეტი შვილი (გარდა დოქტორანტისა);

ვ) ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღო „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან რომლის სრული ზოგადი განათლების აღიარება მოხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით; ასევე სტუდენტი, რომელიც 2008 წლის 7 აგვისტომდე, ბოლო ერთი წლის განმავლობაში სწავლობდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღო ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;

ზ) ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

თ) იმყოფება სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ (სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელთან ან მინდობით აღზრდაში) ან გასულია სახელმწიფო ზრუნვიდან

ბოლო სამი წლის განმავლობაში და იმყოფებოდა სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მინიმუმ ორი წლის განმავლობაში.

2. სტუდენტმა სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათის გაწევის თაობაზე განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის (სკოლის) დეკანს სასწავლო სემესტრის დაწყებიდან არა უგვიანეს ოთხი კვირის ვადაში და წარადგინოს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირობების დამადასტურებელი დოკუმენტები.

მუხლი 3. სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათის გაწევის წესი

1. სტუდენტის მიმართ სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათის გაწევის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ფაკულტეტის (სკოლის) საბჭო, სტუდენტის განცხადებისა და წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

2. ფაკულტეტის (სკოლის) დეკანი იხილავს შემოსულ განცხადებებს და დოკუმენტაციას და ამ წესით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ფაკულტეტის (სკოლის) საბჭოს წარუდგენს წინადადებებს კონკრეტული სტუდენტის მიმართ სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათის გაწევის შესახებ.

3. ფაკულტეტის (სკოლის) საბჭოს მიერ სტუდენტის მიმართ სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათის გაწევის თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანი მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს შესაბამისი ბრძანების გამოცემის მიზნით.

მუხლი 4. სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათის გაწევის პერიოდულობა და ოდენობა

1. უნივერსიტეტის სტუდენტს შესაძლებელია გაეწიოს სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათი სწავლის საფასურის ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით, მაგრამ არა უმეტეს წლიური საფასურის 50%-ის ოდენობისა.

2. სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათი შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ მიმდინარე სასწავლო წლის საფასურზე.

3. სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათის გაწევა შესაძლებელია განხორციელდეს შესაბამისის ფაკულტეტის წლიური საბიუჯეტო ასიგნებების 1%-ის ფარგლებში.